**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის**

**ბრძანება №56**
**2024 წლის 30 ივლისი**

**ქ. თბილისი**

**„სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარების, შენახვის, გადატანა-გადაზიდვის, გადაგზავნისა და რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 თებერვლის №164 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის $35^2$ მუხლის მე-9 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარების, შენახვის, გადატანა-გადაზიდვის, გადაგზავნისა და რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 თებერვლის №164 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 28/02/2014, 140120000.22.034.016290) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული წესის 27-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის $35^2$ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი, 2023 წლის 1 აგვისტომდე შენახვისა და ტარების უფლებით რეგისტრირებული სანადირო ხრახნილლულიანი (მათ შორის, კომბინირებული) ცეცხლსასროლი იარაღის ბალისტიკური შემოწმების ჩატარების მიზნით სააგენტოსათვის წარდგენის ვალდებულების შესრულების ვადად განისაზღვროს 2024 წლის 1 დეკემბერი.

6. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის $35^2$ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი, შესაბამისი იურიდიული პირის/ინდივიდუალური მეწარმის მიერ მის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული იარაღის რეგისტრაციის ვალდებულების შესრულების ვადად განისაზღვროს 2024 წლის 1 დეკემბერი.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს შინაგან საქმეთა**
**მინისტრი** **ვახტანგ გომელაური**